№ 126

ოთხშაბათი, 13 ივნისი, 1901 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877—1901

# ივერია

№ 126

ოთხშაბათი, 13 ივნისი, 1901 წ.

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ტელეფონი № 741.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**განყოფილება**

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

ადრესი ტელეგრამებისა: Тифлисъ „Фармацевтика"

(100—43—45)

**„ივერიის" რედაქციისაგან.**

ვისაც ჰსურს, პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

გ. ი. ჯაჯანიძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მუღიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. მაჩაბლიშვილი—თვალის 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარკოზოვი—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გოგლიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არზანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра **Навасардіана.**

Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

## სკოლა და პანსიონი

**ა. მამულაიშვილისა**

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ოლგას ქუჩა (Ольгинская), № 13.

(10—35—4)

## ქართული წარმოდგენა

ტფილისის საზაფხულო კლუბში

შაბათს, 16 ივნისს, 1901 წ.

ქართული თეატრის არტისტები:

ქ-ბ-ნნი ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. მესხი და ვ. გუნია

გამართავენ პირველს წარმოდგენას.

წარმოდგენილი იქნება

I

ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ

კომედია 2 მოქმ. თავ. რ. ერისთავის მიერ გადმოკეთებული.

II

### მოჩვენება

ვოდ. 1 მოქ. ალ. ჭიჭინაძის მიერ გადმოკეთ.

ადგილების ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: **ექვს შაურიდგან მანათ-ნახევრამდე.**

კლუბის არა წევრნი ბაღში შესვლისათვის 50 კაპ. იხდიან.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

ბილეთები სათავად-აზნაურო თეატრში ისყიდება, ხოლო წარმოდგენის საღამოს კლუბის ბაღში. (3—1).

## ახალი ამბავი

*** 10 ივნისს ტფილისის საზოგადო განათლების კურსების ლექტორთა კრებას დაუდგენია: მომავალ სამოსწავლო წლის დამდეგს მიიღოს ახალი ყურის-მგდებელნი პირველს კურსზედ, ხოლო წინან-

## ფელეტონი

**მარიამ შოტლანდელი**

ხუთ-მოქმედ. დრამა

თხზ. ბერნსტერნ-ბერნსონისა.

თარგმანი ინ-ანისა.

(შემდეგი *)

მოქმედება მეოთხე.

დაბურული ტყეა.

გამოსვლა I.

მგზერთა ხორო (სცენის იქიდგან).

ნისლისაგან ველი ჰბოლს,
ველი ჰბოლს.
ქარზედ უმალ ცხენი ჰქრის,
ცხენი ჰქრის.
ხუ, მავი ტყე ჩურჩულებს,
ჩურჩულებს.
საყვირის ხმა მთასა სცემს,
მთასა სცემს.
დედოფალი გედია,
გედია,
მაღლა მიჰქრის ამაყად,
ამაყად.
მინდვრათ ქროლა ჩვენ გვიყვარს,
ჩვენ გვიყვარს.
გმირთ საზღვარი არა აქვთ,
არა აქვთ!

(სიმღერა და საყვირის ხმა რომ შესწყდება, მარჯვნივ ყარაბინებითა და სანადირო ტანისამოსით მურრეი და ლეტინგტონი შემოდიან. იგინი შედგებიან და მარცხნივ იყურებიან; შემდეგ ერთმანერთს რამდენსამე სიტყვას ეტყვიან და ისევ მიეფარებიან: მურრეი უცბად სცენის შუაგულს მიეფარება, ლეტინგტონი კიდევ ყურადღებითა ჰზვერავს არე-მარესა და მძიმედ გავა სცენის უკან. შემოდის დედოფალი, ბოტველის ხელზედ დაყრდნობილი და ქვაზედ ჩამოჯდება).

**დედოფალი.** ამ მაღალს ხეებს შუა განმარტოებით ყოფნაში ისრეთსავე იდუმალობასა ჰგრძნობს ადამიანი, როგორსაც მხოლოდ ზარბაზნის სროლის შემდეგ გამოსცდის ხოლმე.

**ბოტველი.** არა, უფრო ჩასაფრების იდუმალობას მაგონებს.

**დედოფალი.** ბოტველ, ბოტველ! ტყე უბედურთა თავშესაფარია. დედამიწის ზურგზედ ყველა დევნილი მხოლოდ ხშირს ტყეში ჰსუნთქავდა ხოლმე თავისუფლადა. მოიგონეთ საულის მიერ დევნილი დავით, აბიმელექის რისხვის წინ მსრბოლი იოთამ, ანუ წინასწარმეტყველი ილია; იგიც ხომ ქორების მთაზედ მარტოდ-მარტო იყო, როდესაც ღვთისაგან ჩვენება მიიღო!

**ბოტველი.** მოიგონეთ, დედოფალო, ჩვენნი წინაპარნიც: ტყის ნადირნი ტანთ აცმევდნენ, დაბურული ტყე იფარავდა; სამსხვერპლოს სისხლს ხის ფესვებზედ ანთხევდნენ და შურის მაძიებელ—ტყის ღმერთებს ლოცვა-ვედრებით შესთხოვდნენ. შურისძიება ბუნებითვე ტყეში იფარავს თავს. თქვენი პაპა რობერტ ბრიუსსი ყოველს გაზაფხულზედ ინგლისის წინააღმდეგ შოტლანდიის ტყეებს აამხედრებდა ხოლმე ისრევე, როგორც მაკდუვს მკაცრის მაკბეტის წინააღმდეგ ბირნგამი მიჰქონდა ხოლმე. გაიხსენეთ დუგლასის შურის-ძიება ღამით! შოტლანდიის ისტორია მისს ტყეებში სთვლემს,—აი, აქ შეგვიძლიან გამოვაღვიძოთ იგი, თუ მოვისურვებთ.

**დედოფალი.** ტყისათვის ყური ხშირად მიგდია, მაგრამ ეგ ხმები არა მსმენია!

**ბოტველი.** პატარაობისას ტყეში ნადირსა ვხოცდი, დიდობისას-კი—ყაჩაღებსა. როდესაც აქ ასეთი იდუმალობაა, მე უთუოდ ვდარაჯობ მაშინ; როგორც-კი ოდნავ დაიტკრციალებს რამე, ჩამი-ჩუმი გაისმის, მაშინვე იარაღზედ ხელს ვიკრავ!

**დედოფალი.** მთელი ქვეყნიერობა ორ დიდ ბანაკათ გაიყოფება: ერთი თითონ მიერეკება, მეორეს-კი ერეკებიან. თქვენ პირველს ეკუთვნით.

**ბოტველი.** დიახ, ორ ბანაკადა: ერთს ამათგანს თავისი განზრახვანი აქვს, მეორეს-კი არა.

**დედოფალი.** დეე, აგრე იყოს. ეს გრიგალი ჩვენგან შორსა ჰქრის; აქ თავის შეფარება ადვილად შეგვიძლიან.

**ბოტველი.** არა, ქარიშხალი სწორედ აქ იწყება. როდესაც ძაღლებს გამოუშვებენ ხოლმე და მიჰქრიან, ქარზედ მიჰყეფენ, მეც იგივე მისწრაფება აღმეძვრის ხოლმე. ტყე გვაღელვებს: კვალი მღელვარებისა ტყეშია დაფარული.

**დედოფალი.** (წამოდგება). ჩვენი ამალა სადღაა, გრაფო? დროა წავიდეთ!

**ბოტველი.** დათხოვნილია, თქვენო უდიდებულესობავ,—სულ მეტი იყო.

**დედოფალი.** როგორ ქორივით აკვესებთ თვალებს, თითქოს მსხვერპლს ეძებდეთ... იქნება მეც მიდარაჯებდეთ?..

**ბოტველი.** დიახ, მაგრამ უფრო მხურვალე სიყვარულით, ვიდრე ეს ზაფხულის დღეა, რომელსაც თქვენ საჩრდილობლად გამოექეცით...

**დედოფალი.** ბოტველ, მე თქვენ მოგენდევით...

**ბოტველი.** მართალია მომენდევით, მაგრამ იქამდის რომ სრულებით უნდა მომენდოთ!

**დედოფალი.** რომ თქვენც დაგღუპოთ და ჩემი თავიც?

**ბოტველი.** არა, შატალიარივით სახრჩობელაზედ არ ავალ, არც რიჩჩიოსავით სიკვდილი მინდა, ან დარნლეისავით განდევნა!

**დედოფალი.** დეე, მაშ ამათმა გაბედულობამ გაგაფრთხილოთ!

**ბოტველი.** ოჰ, ეგ რისხვა თქვენის თვალებისა ისრევე ძლიერად აკვესებს, როგორც სამხრეთ ქვეყნებში ღამით ვარსკვლავნი!

**დედოფალი.** ბოტველ, ვისაც-კი მე შველასა ვთხოვდი, იმათგან ყველაზედ ამაყი და ძლიერი თქვენ იყავით!

**ბოტველი.** და აი, კიდეც მე დაგიფარავთ თუნდაც მთელის ქვეყნიერობის წინაშე!

**დედოფალი.** მაგრამ ჩემის სინიდისის წინააღმდეგ ხომ ვერა!

**ბოტველი.** (მუხლის თავებზედ დაეცემა). როგორ, სინიდისს ახსენებთ,—მაშ გიყვარვართ! (ხელს ხელში სტაცებს).

**დედოფალი.** მაღლა ცასა და ძირს დედამიწას მივმართავ, რომ თქვენგან როგორმე დამიფარონ!

**ბოტველი.** მაგრამ ხმას რომ არ

*) იხ. „ივერია" № 120.

დელ ყურის-მგდებელთათვის დაარსონ მესამე კურსი. ლექციების კითხვა უნდა დაიწყოს 15 სექტემბერს, ამისთვის ლექტორებს დაევალათ, წარადგინონ თავიანთ ლექციების პროგრამა 20 ივნისისათვის, რომ ეს პროგრამები დროზედ მსურველთა გასაცნობად დაიბეჭდოს.

*** ტფილისის 1 გიმნაზიის საპედაგოგიო საბჭო აპირებს ამ ზაფხულს გიმნაზიელნი გაჰგზავნოს სამოგზაუროდ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ქალაქ ანსა, ქიათურასა, ახალ ათონსა და სხვა შესანიშნავ ადგილებში.

*** მეაბრეშუმეობის გასავრცელებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გადაუწყვეტია წელს დაურიგოს საჭირო მასალები სამეურნეო და სატყეო სკოლებს და აგრეთვე სხვა სასწავლებლებს აბრეშუმის ჭიის მოშენების საქმის მოსაწყობად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქი შესდგომია სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზედ საკუთარის პავილიონის გამართვას, რისთვისაც მას 200 ოთხ-კუთხი საჟენი დაეთმო.

*** დიდის მთავრინას ოლღა თეოდორეს ასულის დედათა მე-2 გიმნაზიის მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქისაგან ამ გიმნაზიისათვის გადადებული სუბსიდია 1500 მ. გადიდებულ იქმნას 3,000 მანეთამდე წელიწადში, რაიცა უზრუნველ ჰყოფდა გიმნაზიის შენობის ასაგებად საჭირო სესხს—50,000 მ. ამ შუამდგომლობას ამ დღეებში ქალაქის საბჭო განიხილავს.

*** მომავალ წლიდგან მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტში შემოღებული იქმნება ახალი სასწავლო საგანი — მუსულმანთა კანონმდებლობა, რასაც დიდი მნიშვნელობა ექმნება რუსეთ მცხოვრებ მუსულმანთათვის.

*** წელს ტფილისის დედათა მე-II გიმნაზიაში სწავლა დაუმთავრებია სულ 44 ქალს. ქართველი მხოლოდ ორია ამათგან: იულიტა ფურცელაძე და თამარა ხერხეულიძე.

*** გამოფენაზედ გასართობთა გამმართველ კომიტეტს დაუვალებია კ. ს. მესხისათვის, მოიწვიოს გამოფენისათვის ქართული და სომხური ხოროები.

*** ამ ახლო ხანში კავკასიაში ჩამოსვლას აპირებს ცნობილი გეოლოგი და კავკასიის გამომკვლეველი პროფესორი ლევისონ-ლესინგი.

*** სახელმწიფო საბინაო გადასახადის შეტანის შეღავათიანი ვადა უკვე გათავდა. ამისათვის ტფილისის სახაზინო პალატას უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის, მიღებულ იქმნას ზომები დარჩენილ გასახადის მოსაკრებად.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი აღუძრავთ კავკასიაში ტყის დარაჯთა დაბალ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

*** წელს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში სწავლა დაასრულა სულ 28 კაცმა, ყველანი ესენი მიღებულ იქმნენ სამსახურში ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ.

*** მშვენიერ პავილიონს მართავს გამოფენაზედ დ. ზ. სარაჯიშვილი. პავილიონი გარეგანად წარმოადგენს ქარხნის მარგასა: კლდეს, რომელზედაც ჯიხვი სდგას. ეს კლდე გამშვენებული იქმნება მეღვინეთ, რომელიც მიუდია სარაჯიშვილის ქარხანას სხვა-და-სხვა გამოფენაზედ. მედლები პეტერბურგში იქმნება დამზადებული.

*** შავი ზღვის პირად მოსახლე ძველ ბერძენთა ნაშთები თანდათან ისპობა, ამისთვის მოსკოვის საარქეოლოგო საზოგადოებას უთხოვნია ადგილობრივ მთავრობისა და სოხუმის ეპისკოპოსისათვის, მაწოდონ საარქეოლოგო საზოგადოებას ახალ ათონის მონასტრის მიწებში მდებარე ციხეებისა და ტაძრების ნაშთთა ფოტოგრაფიული სურათები.

*** ქალაქის გამგეობის მინდობილობით მიწის მზომელი ბ-ნი ალიხანოვი შესდგომია „დოტკის გორაზედ“ იჯარით გაცემულ მიწების გამიჯვნას. „დოტკის გორაზედ“ 40 ადგილია იჯარით გაცემულ სახლების ასაგებად, 5-დგან 15 კაპ. თითო ოთხ-კუთხი საჟ.

*** იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთათვის სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 1901 წლის 1 მაისისათვის განყოფილების კასაში იყო 13105 მან. 29 კაპ. მაისის განმავლობაში შემოვიდა 211 მავ. 65 კაპ. სულ—15216 მან. ამავე თვეს დაიხარჯა 3829 მან. 1 ივნისისათვის დარჩა 11387 მან. 94 კაპ. განყოფილების თვალის სამკურნალოში მაისში ახალი ავადმყოფი შემოვიდა 562 კაცი, წინანდელებთან ერთად იყო 5,204 ავადმყოფი რომელთაგან 145-ს ოპერაცია გაუკეთეს.

*** როგორც შორაპნის სადგურიდგან გვატყობინებენ, 11 ივნისს, დილით, ახლად აგებულ სახლის ქვედა სართულთან უნახავთ მკვდარი ხელოსანი გ. ე. პეტროვი, რომელიც, როგორც საფიქრელია, გადმოვარდნილა ზედა სართულიდგან სიმთვრალისა გამო.

*** როგორც მე-226 ვერსიდგან (გორიგრაკალი) გვატყობინებენ, 11 ივნისს დილით მატარებელ № 171-ის კონდუქტორებს კოპტუროვსკისა და ბისკოს თავში დაუჭრიათ უბილეთოდ მიმავალი ორი მგზავრი სოფ. გომის მცხოვრებნი.

## წერილი ბარის ოსეთიდგან

ჯირისხულისა და ბალახის მოსავლისათვის ბარის ოსეთში მაისი სწორედ ენით გამოუთქმელი კარგი თვე იყო, მაგრამ ხალხის ზარალი დიდი მოჰყვა: აი, მაგალითებიც: მაისის პირველ რიცხვებში, სოფ. ბათაყოს ახლო მინდორში ერთის მოკლულის კაცის გვამი იპოვნეს. მოკლული აღმოჩნდა ამავე სოფლელი თოთრი ბეგა ქოქაევი. მიცვალებულის ჯირისუფალთ ეჭვი მაშინვე თავისს მეზობელ ზარა ბეგა ზაქაევზედ მიიტანეს, რომლისათვისაც ორის წლის წინად თოთრი ბეგა ქოქაევს ცხვირი ჩამოეთალა. მართალია, ოსური ჩვეულებისამებრ შერიგებულიყვნენ, მაგრამ მაინც შურისძიება გულიდგან თურმე არ ამოედო და, როცა ქოქაევი სხვა სოფლიდგან მოდენილიყო, ჩასაფრებულს ზაქაევს თოფი ესროლა და მოეკლა. ზაქაევი მკვლელობაში გამოტყდა და განაცხა: „იმიტომ მოვკალი, როცა-კი თითონვე დამასახიჩრა და სადა-კი შემხვდებოდა, ყოველთვის მასხარათ მიგდებდაო“. ზაქაევი ამის გამო დროებით სასოფლო საპატიმროში იყო დაპატიმრებული. იმ დროს, როცა ის თავისს ნათესავს ელაპარაკებოდა ფანჯრიდგან, გარდაცვალებულის ქოქაევის ძმა საიდგანღაც მიეპარა ზაქაევს, ხანჯალი წაატაკა, სასიკვდილოდ დასჭრა და ამნაირად სამაგიერო გარდაუხადა. ამ ჟამად ორსავე გვარში დიდი განხეთქილებაა ჩამოვარდნილი.

მაისისავე შუა რიცხვებში, სოფ. გოზელში, ორი მეზობელი საბახჩე ადგილზედ წაიჩხუბნენ და ერთმა მეორე მოკლა.

თვრამეტს მაისსვე, სოფ. არდონში უმცროსი ძმა უფროსის ბაღჩაში თურმე შევიდა და ხახვის ჭამა დაიწყო. უფროსმა ძმამ ცემა დაუწყო და გამოაგდო. შუათანა ძმამ შენიშნა ამაზედ უფროსს: „რატომ არა გრცხვენიან, რადგან ორი ძირი ხახვის გულისათვის ძმას როგორა სცემო?“ როგორც თუ შემომბედეო და უფროსმა ძმამ იძრო ხანჯალი და საბრალო შუათანა ძმა იქვე გააგორა.

ოცს ამავე თვეს, ღამე, ნებითი-ქრისტიანის მცხოვრებმა ათიოდე უმაწვილმა ბიჭმა სალუგარდნელების სათიბში ოთხმოცამდის ხარი და თხუთმეტიოდე ცხენი თურმე გარეკეს. ეს ამბავი გაუგია სალუგარდანის მამასახლისს, წამოუსხამს ოცამდის ცხენოსანი, ნებითი-ქრისტიანელებს თავს დასხმია და ხარებისა და ცხენების წართმევა მოუნდომებია. საქონლის პატრონებს, რასაკვირველია, არ დაუნებებიათ; ატეხილა ერთი ხანჯლებისა და ჯოხების ტრიალი, ერთი სალუგარდნელი კაცი-კი უმსხვერპლიათ. რომელმა მხარემ მოჰკლა ეს კაცი, ნებითი-ქრისტიანელებმა თუ თავათ სალუგარდნელებმავე, ჯერ არ გამორკვეულა. ნებითი-ქრისტიანის მხრივაც ერთი მძიმედ არის ხანჯლით დაჭრილი და ჯოხით-კი ბარემ ექვსია თავ-გატეხილი; [illegible] სწრამობს.

ოც-და-ორს ამავე თვეს, ფისილმონ. უავას მცხოვრებს ბესოლოვს თუღანოვების ყორუდში საქონელი შეერეკნა დამესაძოვნელად. თუღანოვების ყორუდის მევეღემ დასწრო თურმე და დაუშალა, ამაში ჩხუბი მოუვიდათ; ბესოლოვმა მეველეს ჯოხი მოუქნია და თავში სთხლიშა, გამწვავებულმა მევეღემ იძრო ხანჯალი, წაატაკა ბესოლოვს და იქვე მოჰკლა. ასე გაიარა მაისმა აქათ და, ვნახოთ, თიბათვე რაღას გვიზამს და რას მოგვიტანს.

ქართველი ოსებში

## ქალაქის საბჭო.

11 ივნისი

გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაიკითხა მოხსენება ხორცის სხვა-და-სხვა ხარისხად დაყოფისა და ხორცის ვაჭრობაზედ სავალდებულო დადგენილებათა შემოღების შესახებ. საბჭომ დაადგინა, შემოიღოს ხორცის სხვა-და-სხვა ხარისხად დაყოფა და მოიწონა გამგეობის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილებანი ხორცის ვაჭრობის შესახებ. შემდეგ წაკითხულ იქმნა გამგეობის მოხსენება სხვა-და-სხვა მოსამსახურეთათვის ფულის გადადების შესახებ. საბჭომ კენჭის ყრით შეიწყნარა გამგეობის დადგენილება, რომლითაც წყლის მილის ბუჰგალტრად ნამყოფს ალიბეგოვს, რომელიც ახლა გამგეობის სხვა სამსახურშია, დაენიშნა ჯამაგირად 900 მან., როგორც წინად ჰქონდა, გამგეობის მოსამსახურე ქალს მატინიანცს მიეცა 120 მან., ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელს მელიქ-ალავერდოვს—300 მან. და გამგეობის მოსამსახურეს ნასიძეს ავადმყოფობის გამო—150 მან. გამგეობის წევრმა ხოსროევმა წაიკითხა ცნობილი საქმე გამგეობის წევრებისა და მოურავისა, რომელნიც სხვა-და-სხვა დანაშაულობის

---

გცემენ!

დედოფალი. თქვენი საქციელი გონიერებისა და კანონის წინააღმდეგია, ერთის წამის გულისათვის მთელს სიცოცხლესა ჰღუპავთ!

ბოტველი. დიახ, მაგრამ მიზეზი სიყვარულია!

დედოფალი. აღექით, ბოტველ! ვნება თვალებს გიხვევთ, გონს მოდით და პატიოსნების იდუმალს ხმას შეეგებევით. ვინ იცის, იქნება დადგეს ის დღეც, როდესაც უკანვე მოგიხმობთ!

ბოტველი. მაშ თუ აგრეა, ნიშნად მომეცით რამ!

დედოფალი. არ შემიძლიან. მაშინ ხომ მთლად თქვენ ხელთ ვიქმნები!

ბოტველი. მაგრამ ნუ დაივიწყებთ, მარიამ, რომ ბოტველისავით ერთგულად თქვენთვის არავის უმსახურნია, არც მისებრ ვისმე ჰყვარებიხართ! ვისაც-კი წინად უყვარდით, განა ვაჟკაცნი იყვნენ?

დედოფალი. მართალია, მართალი, თქვენებრ ძლიერს არავის შევხვედრივარ! (უცბად თავზედ ხელს შემოჰხვევს და ჰკოცნის, შემდეგ წამოვარდება და გაიქცევა).

გამოსვლა II.

ბოტველი, შემდეგ ლეტინგტონი.

ბოტველი. (გონს მოვა და შემობრუნდება სწორედ იმ დროს, როდესაც ლეტინგტონი ხიდგან თავს გამოჰყოფს). თქვენ აქა ხართ?

ლეტინგტონი. დიახ!

ბოტველი. ხმალს ხელი მაშ, გრაფო! (ხმალს ამოიღებს).

ლეტინგტონი. (ესეც ამოიღებს). დიახ, მზადა ვარ, მაგრამ შოტლანდიის მეფის დარნლეის წინააღმდეგ; გზას ის გვიღობავს.

ბოტველი. ჰენრიხ დარნლეი!

ლეტინგტონი. ეჩქარეთ, ვიდრე ცეცხლი არ ჩაგნელებიათ: დღეს საღამოთივე მთელი კასრი თოფის წამალი მის ოთახს ქვეშა და—ხვალ მისი ხსენებაც-კი აღარსად იქმნება.

ბოტველი. სიკვდილი და ჯოჯოხეთი! ლეტინგტონ, გინდათ მომატყუოთ! (ხმლით მიეტევა).

ლეტინგტონი. (შეაყენებს). გონს მოდით, ბოტველ! შოტლანდიის ყველა კეთილშობილი იმასვე ჰნატრობს, რასაც თქვენ და უკეთესებმა ამათგან, თქვენ რომ ერთადა გნახეს, უკვე კავშირიც შეჰკრეს.

ბოტველი. მაკოცა? ჯერ კიდევ ვერ გამოვფხიზლებულვარ,—იქნება მახეს მიგებენ?

ლეტინგტონი. გეფიცებით, ასზედ მეტი კეთილშობილი შოტლანდიისა მზად არის სამართლის წინაშე, თუ ხმალში, ყველგან დაგიცვან, თუ-კი დღევანდელი ამბისათვის ბრალს ვინმე დაგდებთ.

ბოტველი. (თავს შეიმაგრებს). მაშ თუ აგრეა, დარნლეი ველარ იცოცხლებს!

ლეტინგტონი.. მაგრამ უნდა აჩქარდეთ! საშიშია მარიამ შოტლანდიელს მთელი ღამე მოსაფიქრებლად დაეთმოს! (პაუზა).

ბოტველი. (ჩუმად). ლეტინგტონ! როგორ გგონია, არის რამ ძალა იქ, ზევით?

ლეტინგტონი. როგორღაც არ შემინიშნავს.

ბოტველი. ჩვენს ქვეით?

ლეტინგტონი. იქ ჭია-ღუა და მწერებია.

ბოტველი. (უფრო გამხნევდება). მაშ ძალა ჩვენშივე ყოფილა,—სამუდამო თუ დროებითი, ეგ სულ ერთია, საიდგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი; მას შემდეგ, რაც ჩემმა ნებამ ზოგიერთი საქვეყნო საქმე დაიმორჩილა, ვხედავდი, როგორ დღითი-დღე მეზრდებოდა, მიმაგრდებოდა იგი. ერთხელ ზღვაზედ ქარიშხლის დროს ჩემის ფლოტით ორკადის კუნძულებს შევაფარე თავი; ზღვა ნაფოტავით გვისროდა, ღრუბლები სველ იალქნების ნაფლეთებივით ცაში მიპროწიალობდნენ, ზღვის ტალღებს შხუილ-ღრიალი გაჰქონდა, ნაპირი უდაბური და ველური იყო; ვიგრძენი მაშინ, რომ ძველ ნორვეგიელ მეკობრეთა საგვარეულო სისხლმა კვლავ გაიღვიძა ჩემში; ესენი იყვნენ ჩვენნი წინაპარნი, მძლავრის ტომისანნი, ძლიერნი ნებით... უზარმაზარი ხესავით იგი ფესვებით ამ კლდეებში გამაგრებულა; მის ჩრდილს ქვეშ ახლა მთელი ხალხი სცხოვრობს. აი, სწორედ მაშინ გავიფიქრე, რომ ერთს დროს დაპბერავდა ქარიშხალი და ჩემი უდრეკი, უძლეველი ნება სხვათა სუსტს ნებას, ხასიათს დაიმორჩილებდა. ლეტინგტონ, თუ გსურთ, შემოუერთდით ამ ძლიერს ნებას, მაგრამ მასთან ბრძოლასა და გამკლავებას-კი ნუ იკისრებთ. ყოველივეს, რასაც-კი მთხოვთ, მიიღებთ მაშინ, როდესაც დიდების დღე დამიდგება; ჩვენ ხომ ორნივ ერთი ბანაკიდგანა ვართ. ჩვენ არ შევადგენთ მომხრეებს ნოქსისას, ან დედოფლისას, არც პროტესტანტთა და კათოლიკეებისას, არა—ეს არის კავშირი ვაჟკაცობისა, რაინდობა პატივის მოყვარეობისა! მშვიდობით! როდესაც ჩვენ ხელ-ახლად ერთმანერთს შევხვდებით, მაშინ შოტლანდიაში ჩვენზედ მაღლა მხოლოდ-ღა ერთი კაცი იდგება! (ჩუმად) და ისიც ჩემ ხელთ იქნება! (გადის).

გამოსვლა III.

ლეტინგტონი. (მარტოდ). რა ვქმნა, ნეტა? ნუ-თუ მივენდო ამ კაცის ნებას? სამჯერ ხომ უკვე დაგვამარცხა და სულ პირველად მაშინ, როდესაც ჯერ ისევ პატარა ბიჭი იყო. სულ სხვა ბუნებისაა იგი: დიდების მოყვარეობა კიდეც სწევს წინა და კიდევაც ჰღუპავს; ფიჭვის ხესავით იგი ყველაზედ მაღალი იზრდება, მაგრამ ბოლოს იმ სიმაღლემდე აღწევს, რომ უნებლიედ იყინება. ამ რიგად, შეგიძლიან, რაც ძალი და ღონე გაქვს, მაღლა და მაღლა ასწიო, მაგრამ თითონ-კი თან არ უნდა მიჰყვე. მურრეი-კი ნამდვილი პოლიტიკოსია. ყოველ გვარს აზრს იგი ადვილად ურიგდება და კიდეც ეს არის მიზეზი, რომ დიდის გონების პატრონ ხალხზედაც-კი ადვილათ უფლობს.—ჰხედავთ რა ჰქმნა! დედოფალმა ბოტველს აკოცა! მაგრამ ამ კოცნით ხომ სიკვდილით დასჯა განუმზადა! გაექცა, როგორც საძაგელს საქციელს, მაგრამ სად წაუვა განა? ეს ის ქვაა, რომელზედაც კისერს უთუოდ მოიტეხს! დიაღ, შეუძლიან თავი მოიწონოს, რომ, გარდა ერთისა, იგი ჩვენ ყველას ხომ გვიყვარდა; მაგრამ ეს ერთიც მისი ღვიძლი ძმა იყო მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩადენის გამო პასუხისგებაში იქმნენ მიცემულნი. საბჭომ მხედველობაში მიიღო ეს საქმე. ამ საქმის სამოსამართლო პალატაში განხილვის დროს სტენოგრაფის მოწვევის შესახებ მოხსენება ხმ. ბაზოვისა საბჭომ შეიწყნარა და გადასდო ამისთვის 250 მან. დასასრულ საბჭოს მოხსენდა გამგეობისა და უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის შორის მომხდარ მოლაპარაკების შედეგი. ეს საზოგადოება აძლევს ქალაქს ქუჩების მოსაკირწყლავად სესხად 600,000 მან.: 3 წლის განმავლობაში 150,000 მან. წელიწადში და 150,000 მან. ეხლავე. ხოლო 400 ათას მან. გირაოდ სომხეთა ბაზარში ტრამვაის გაყვანის გამო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთებში უკვე მრავალი ცნობა დაიბეჭდა იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელსაც საშუალო სკოლის რეფორმის საქმე აქვს მინდობილი. ყველანი გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს ამ კომისიას, ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობაც სიხარულით ეგებება კომისიის მიერ განზრახულ ცვლილებათ. უკვე გამოქვეყნებულ ცნობებიდგან სჩანს, რომ მთავრობას ძირითადი ცვლილება განუზრახავს სასკოლო საქმეში. კლასიციზმი, რომელიც სულს უხუთავდა სკოლას და მძიმე ტვირთად აწვა მოსწავლეებს, შესანიშნავად იქმნება შესუსტებული. ამიერიდგან ძველის ენების შესწავლა აღარ იქმნება სავალდებულო ყველა მოსწავლისათვის. სხვაფრივაც დიდ სიკეთეს მოელიან ახალ სკოლისაგან.

კომისიის მუშაობის შესახებ „Рус. Вѣд.“-ი სწერს, რომ კომისიაში ყველა უწყების წარმომადგენელნი და სასკოლო საქმის ავტორიტეტნი იღებენ მონაწილეობას, ეს გარემოება-კი თავმდებია ძნელ საქმის რიგიანად გადაწყვეტისაო.

„მაგრამ, —განაგრძობს გაზეთი, — რათა მომავალი რეფორმა უფრო ნაყოფიერი იყოს, სასურველია კომისიის მუშაობაში საზოგადოების წარმომადგენელნიც იყვნენ მოწვეულნი. კომისიის საქმე იმდენად რთული და პასუხსაგებია, ამასთან იმდენად დაახლოვებულია ოჯახთან, რომ კომისიაში საზოგადოების წარმომადგენელთა მიწვევა თავისდა თავად ყველასათვის აშკარაა, მით უმეტეს, რომ ესევე აზრი მშობელთა და ოჯახის შესახებ 25 მაისის უმაღლეს რესკრიპტშიაცაა გამოთქმული“.

ბევრგან საზოგადოება თავისითაც შეუდგა სასკოლო საქმეების განხილვას. უკვე ჰქონიათ ლაპარაკი თავად-აზნაურთა ქალაქის საბჭოებს, საერობო კრებებს, საპედაგოგიო, სამკურნალო, საჰიგიენო და სხვა საზოგადოებებს. ბევრმა ამათგანმა მოხსენებებიც-კი შეადგინეს სასურველ ცვლილებათა შემოღების შესახებ სასკოლო საქმეში. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ მოხსენებანი დიდ სამსახურს გაუწევენ და მასალას შესძენენ კომისიასო. შემდეგ გაზეთი საჭიროდ სცნობს, რომ კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დამტკიცებამდე გაეგზავნოს თავიანთ აზრის გამოსათქმელად არა მარტო უნივერსიტეტის საბჭოებს და ოლქის მზრუნველთ, არამედ საზოგადოებრივ და წოდებრივ დაწესებულებებსა და კრებებსაც. სასურველია აგრეთვე ამ პროექტის დროზედ გამოქვეყნება, რომ ჟურნალ-გაზეთობასაც თავისის აზრის გამოთქმა შეეძლოსო.

* * *

ამავე რეფორმის გამო გაზეთ „Волынь“-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი. გაზეთი „დავიწყებულ სასწავლებლებს“ ეხება.

„ამ ბოლოს დროს, —სწერს იგი, —გაზეთები და ჟურნალები მთელ სვეტებს ანდომებენ უნივერსიტეტებისა, გიმნაზიებისა, სატეხნიკო, რეალურ და, დასასრულ, პირველ-დაწყებით სასწავლებლების გადაკეთების საქმეს. ძალიან ბევრს სწერენ რეფორმის შესახებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხმაც-კი არავის ამოუღია სამოსწავლო ინსტიტუტისა და სამოსწავლო სემინარიებში სწავლის მოწყობისა და უკეთ დაყენების შესახებ. ნუ თუ სიჩუმე ამ საქმის გამო მომასწავებელია იმისა, რომ იქ ყველაფერი მშვენივრად სწარმოებს და განკარგება-გაუმჯობესობა სასურველი არ არის? ჩვენის აზრით, ეს სასწავლებლები უფრო მეტს საჭიროებენ განკარგებას, ვიდრე სხვანი. ვინ არ უწყის, მაგალითად, რა ნაკლებად განვითარებულნი და მცირე ცოდნით აღჭურვილნი გამოდიან სამოქმედო ასპარეზზედ სამოსწავლო სემინარიების მოწაფენი. ბუნების-მეტყველების, განსაკუთრებით-კი კანონების შესახებ მათ წარმოდგენაც-კი არა აქვთ, თუმცა ეს საგნები ყველაზედ უფრო საჭიროა სოფლის მასწავლებლისათვის. გლეხების აზრით, მასწავლებელმა ყველაფერი უნდა იცოდეს; ამიტომაა, რომ გლეხები ხშირად მიჰმართავენ ხოლმე მასწავლებელს რჩევა-დარიგებებისათვის. ავადმყოფობის დროსაც გლეხი მასწავლებელთან მიდის საშველად და სამკურნალოდ. სემინარიაში-კი მომავალი მასწავლებელი მკურნალობის ელემენტარულ ცოდნასაც ვერ იძენს“.

## უცხოეთი

**ინგლისი.** როგორც ლონდონიდგან იუწყებიან, ერთი ნაწილი ლიბერალ იმპერიალისტებისა ლიბერალებს თურმე ჩამოსცილდა და ცალკე გადგა, რომ ბურების მეგობრების წინააღმდეგ სამინისტროს მხარი დაუჭიროს. მიუხედავად ამისა, ქ-ნის ნობგაუზის მიერ ამ დღეებში დაბეჭდილმა ანგარიშმა იმას შესახებ, რაც მან ინგლისელების ბანაკში ნახა ბურების ქალებისა და ბავშვების შესახებ, ინგლისის საზოგადოებაზედ დიდი გავლენა თურმე იქონია. ნობგაუზი აღგვიწერს, თუ ბურების ქალები და ბავშვები რამდენად გაჭირვებულნი არიან ინგლისელების ბანაკში, მოჰყავს მაგალითები იმისა, თუ ინგლისელები რა-რიგ მოეპყრობიან ბურს-ქალებს, როდესაც-კი იგინი გაპარვას სცდილან, რომ შინ დარჩენილი უსუსური ბავშვები ენახათ და სხ. ძუძუთა ბავშვებს ინგლისელები ჯარის-კაცთათვის გამხმარის პურით და ნახევრად დამპალი კონსერვებით ჰკვებავენო. ბავშვები ასეთს მძიმე საჭმელს ვერ ინელებენ და უპატრონობით და უსაჭმლობით იხოცებიანო. ბრძოლის ველზედ მყოფ ბურების ცოლებს კიდევ ინგლისელები მხოლოდ ნახევარს კერძს აძლევენ; მომაკვდავს ბავშვებს უდროოდ მოწყვეტილ და სადღაც მიგდებულ დამჭკნარ ყვავილების ფერი სდევს, ადამიანს თვალზედ უნებურად ცრემლი მოადგება, გული სიბრალულით აევსებაო. მაგრამ ყველაზედ შესანიშნავი-კი ის გარემოებაა, რომ ბურების ქალები თავისს ასეთ მდგომარეობის შესახებ არავითარს საყვედურსა და სინანულს არ აცხადებენ და ყველას მტკიცედ გადაწყვეტილი აქვს ტანჯვა და მწუხარება მოთმინებით აიტანონ, ოღონდ მტერს არ დაჩმორჩილდნენ და ძვირფასი თავისუფლება შეინარჩუნონ: არც ერთი მათგანი საყვედურს არ აცხადებს, ვერც ერთის თვალზედ ცრემლს ვერ შეჰნიშნავთ და ვერც ერთს მათგანს ვერ დაიყოლიებთ, რომ ქმრებს ურჩიონ იარაღი დაჰყარონო. ყველა ეს სასტიკობა-კი სულ იმისი ბრალია, რომ ინგლისის მოხელეებსა და ჯარის უფროსებს დიდი ხანია ყოველგვარი თანაგრძნობა დაეხშოთ, გრძნობა დაუჩლუნგდათო. დღევანდელს სისტემას ბურების ოჯახობის ინგლისელთა ბანაკში შემწყვდევისას ბევრი ინგლისელი ჯარის უფროსი დიდ შეცდომადა სთვლის, მაგრამ ახლა რაღას უშველიან, გვიან-ღაა. სამხედრო მინისტრმა ბროდრიკმა აღუთქვა ქ-ნს ნობგაუზს, რაც-კი რამ უხერხულობა და სასტიკობა შეუნიშნავს, ყველაფერს ვეცდებით ბოლო მოვუღოთ, მაგრამ ეხლა ეს გვიან-ღაა. ამბობენ, ნობგაუზის ანგარიში რომ პარლამენტში კენჭის ყრამდე დაბეჭდილიყო, არჩევანებზედ უთუოდ დიდს გავლენას იქონიებდაო.

— 3 ივნისს ლონდონის ყველა ბაღებში დიდი დემონსტრაციები მოხდინეს, რომელშიაც სიფხიზლის მომხრე სხვა-და-სხვა საზოგადოებათა 32,000 წევრმა მიიღო მონაწილეობა. მანიფესტანტების უმეტესობას მოზარდი თაობა შეადგენდა. დემონსტრაციებს აზრადა ჰქონდათ მთავრობა აეძულებინათ და ეგრედ წოდებული მაგარი სასმელების აღმკრძალველი (ბავშვებსა და მოზარდებზედ) კანონი მიეღებინებინათ. ყველაზედ მეტი ყურადღება ჰაიდ-პარკში მომხდარმა კრებამ მიიპყრო, რომელზედაც, სხვათა შორის, სიტყვები წარმოსთქვეს პარლამენტის წევრებმა ვილსონმა და რისსელმა. რისსელმა მთავრობა და პარლამენტი გაჰკიცხა საშინლადა და აღნიშნა ის გარემოება, რომ სასმელების ცვლილებას იგინი სრულიად გულგრილად ეკიდებიან. „ყოველს შემთხვევაში, მეტის მოლოდინი მაინც არ უნდა გვქონოდაო, —შენიშნა ორატორმა, —რადგანაც 600 დეპუტატიდგან შეიძლება მხოლოდ ოცდა-ათი კაცი არა ხმარობდეს მაგარს სასმელებსაო“.

**ავსტრო-უნგრეთი.** როგორც გაზ. „Obzor“ გადმოგვცემს, უნგრელს დეპუტატს კრავოლცკის დაუბეჭდია ბროშურა, რომელშიაც ამტკიცებს თურმე, რომ, გამსბურგთა დინასტიისათვის ბევრად სასარგებლოა მომხრეობა ჩეხელებსა და უნგრელებში ეძებოს, ვიდრე ნემცებში. ავსტრო-უნგრეთმა რომ ყველა ნემცების პროვინციები დაჰკარგოს, იმ შემთხვევაშიაც-კი ჩეხია და უნგრეთი ერთად დიდს სახელმწიფოს შეადგენენო, უნგრეთში 19 მილიონი მცხოვრები ითვლება, ხოლო თუ ამას ახლა დალმაციასა, ბოსნიასა და გერცოგოვინას მივუმატებთ, მაშინ ხომ მეტი გამოვა. სწორედ რომ სასიქადულო და საამაყო ხელმწიფისთვის ორის ასეთის

---

გამოსვლა IV.

ლეტინგტონი. მურრეი.

მურრეი. ძალიან ცოტა ხანს ელაპარაკეთ.

ლეტინგტონი. ესაცა კმარა.

მურრეი. მისი პატივის-მოყვარეობა?..

. . . . . . . .

ლეტინგტონი. . . . თოფის წამალზედ ადვილად ასაფეთქებელია. დარნლეის ამ საღამოთივე ააფეთქებენ.

მურრეი. მართლა? და თვითონ-კი ის დაემართება, რაც წამალს მოსდის ხოლმე: თან აჰყვება არა?

ლეტინგტონი. თქვენო ბრწყინვალებავ, კარგა ხანია აგრე მხიარულად აღარ მინახევხართ.

მურრეი. (უცბად ჩაფიქრებულს გამომეტყველებას მიიღებს). როგორ, დაპირდით, რომ ხელს მოუმართავთ?

ლეტინგტონი. ფიცს ქვეშა და მტკიცედ.

მურრეი. საშიშია.

ლეტინგტონი. იმედია, საქმის მოგვარებას თქვენ იკისრებთ?

მურრეი. თქვენ ჩემზედ უკეთ მოახერხებთ ყველაფერს.

ლეტინგტონი. მაგრამ იმის უარს მაინც ნუ მეტყვით, რომ ლორდებს მოელაპარაკოთ,—იმათს შეკრებას თქვენ უფრო ადვილად მოახერხებთ.

მურრეი. ჩემო კეთილო გრაფო, თქვენ ერთობ შესძლებთ თქვენს საკუთარს ძალას. და მეორეც კიდევ ზოგიერთი გარემოება სრულიად ნებას არ მაძლევს, რომ ამ ჟამად ამ საქმეს ხელ-ფეხი შევაკვრევინო.

ლეტინგტონი. არ შეიძლება მაგ გარემოებათა შესახებ მეც რამე მაცოდინოთ?

მურრეი. დიდის სიამოვნებით,— როდესაც-კი დრო და ადგილი ნებას მომცემს!

ლეტინგტონი. ოდესღაც ერთს კაცს ვიცნობდი: ნახევრად იგი სამეფო სისხლისა იყო, ნახევრად პროტესტანტი, ნახევრად მომხრე ერისა და ნახევრადაც მეფის უფლების ხელთ მპყრი. თავისის დისა იგი ნახევარი ძმა იყო და ჰმფარველობდა მუდამ, როდესაც-კი თვით არ შეეძლო თავდასხმა. ამ კაცს მეგობრებიც ასრევე „ნახევრად ერთგულნი“ ჰყავდა, როგორც თვით ენდობოდა ხოლმე სანახევროდ. მაგრამ ბოლოს დროს ამ კაცს საქმე ცუდად წაუვიდა.

მურრეი. მეც ვიცნობ მაგ კაცს, მაგრამ შედარებით უკეთ. უფლებანი, რომლის ღირსიც იგი გახდა ამ ქვეყნად, მხოლოდ ნახევარ-უფლებანი გამოდგნენ; ამის გამო იგი იძულებული შეიქმნა სიფრთხილითა და ეჭვით მოეპყრობოდა ყველას, რომ ერთგულებაც სანახევროდ არა ჰრგებოდა წილად. იგი არ არის არც ნახევრად პროტესტანტი და არც ნახევრად მეგობარი ერისა, მაგრამ გონივრული პოლიტიკა აიძულებს მას ასრე მოიქცეს, როგორც ის არის ცხადი, რომ ნაყოფს ამ პოლიტიკისას სხვას შესძლევნიან. აზრი ასეთის პოლიტიკისა მუდამ ერთი და განუყოფელია, რაიცა საზოგადოდ არ ითქმის არც დროისა და არც გარემოებათა შესახებ. თქვენ არ იცნობთ მას, ვისაც იგი უნდა ემსახურებოდეს, არ იცნობთ დედოფალს! იგი არ ემორჩილება არც საქმესა და არც ადამიანს, რადგანაც მისმა ბუნებამ სიმტკიცე და ერთობა არ იცის რა არის. იგი ითვისებს ჩვენს შრომას, ჩვენს სიყვარულს, ყოველ გვარს ჩვენს მსხვერპლს, მაგრამ მეორე დღეს ჩვენს წინაშე არავითარს ვალდებულებას არა ჰგრძნობს, თავისუფალია! ყოველგვარს კავშირსა და მოვალეობას იგი დაუფიქრებლივ აუქმებს; ყოველივეს, რასაც-კი მისი შეკვრა და შემაგრება შეუძლიან, უარ-ჰყოფს. იგი ოქრო-ვერცხლითა, ქონებითა და დიდებით აგავსებთ, მაგრამ იმიტომ-კი არა, რომ მადლობას ჰგრძნობდეს თქვენდამი, არა! ეს მისის ბუნებისათვის გაუგებარია; ასე იქცევა მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი მოვალე, თქვენგან დამოკიდებული არ იყოს. მეორე მხრივ, შეუძლიან, თუნდაც თავისი დაუძინებელი მტერიც ხელახლად წყალობით აავსოს, დაიახლოვოს, სახელმწიფო საქმენი ანდოს და ვითომ აქ არაფერი ამბავიაო, მასთან ერთად იმუშაოს; მაგალითად, თუნდ მორტონი ავიღოთ. საქმე ის არის, რომ ამ ადამიანს უყვარს და სძულს მხოლოდ თვითო წამობით. როდესაც უფლება ასეთის ადამიანის ხელშია, საქმე სწორედ რომ გაუგებარი ხდება, —გეგმა და ხალხი სწრაფად იცვლება და დღეს არასოდეს არ იცი, ხვალ რა იქმნება. ეს ქვეყანა დღეს სამხედრო ბანაკად გადაქცეულა, სადაც ყველას თავ-ქვეშ იარაღი უდევს და ისე სძინავს, რადგანაც მუდამ შფოთსა და არეულობას მოელის! შეიძლება რიჩჩიოც განიდევნოს, დარნლეიც, ბოტველიც, მაგრამ საქმეს არა ეშველება-რა, ვიდრემდის... (უცბად შედგება და აქეთ-იქით იცქირება).

ლეტინგტონი. ვიდრემდის მას არ გავდევნით განა?

მურრეი. (მხრებს შეიშმუშნის) გავდევნოთ?

ლეტინგტონი. დიახ, ერთხელ კიდევ.

მურრეი. მაგრამ ისე-კი, რომ ცუდი არა შეემთხვას-რა.

ლეტინგტონი. ისე, რომ შეუძლებელი-ღა იყოს კვალად ტახტზედ ავიდეს.

მურრეი. მაშინ საჭიროა ბოტველს მისთხოვდეს.

ლეტინგტონი. არასოდეს არ დასთანხმდება!

მურრეი. მაგრამ ბოტველი აგრე ადვილად მსხვერპლს ხელიდგან არ გაუშვებს და თქვენც უნდა დაეხმაროთ.

ლეტინგტონი. მაგრამ კიდევ რომ მოახერხოს?..

მურრეი. არა უშავს-რა, ამ უფლებას დიდხანს ველარ შეინარჩუნებს! არ მოუთმენენ!

ლეტინგტონი. შეგიძლიანთ მაშინ შვილის სახელით სამეფო თქვენა ჰმართოთ?

მურრეი. დიახ, თუ რომ ახლა განზედ როგორმე დავრჩი.

ლეტინგტონი. დიახ, დიახ!

მურრეი. ხომ ჰხედავთ, ნახევრად არ გენდობით.

ლეტინგტონი. მართალია!

მურრეი. იმასაც ხომ ჰხედავთ, რომ საჭიროა წავიდე და ისიც დაუყოვნებლივ. თუ-კი ოდესმე თქვენს გონიერებაზედ იქმნება საქმე მივარდნილი, მაშინ ჩემი დახმარება საჭირო აღარ არის. მშვიდობით! იცოდეთ, დიდების დღეს არ დაგივიწყებთ. (მიდის).

(შემდეგი იქმნება)

თავისუფალ ერის გვირგვინით შეიმკოს თავი, როგორნიც ჩეხელნი და უნგრელნი არიან, ათას-გვარს ჭირსა და ვარამში გამოვლილნი და თავისუფლებისათვის ბრძოლაში გამოწრთვნილნიო.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

11 ივნისი.

**პეტერბურგი.** 11 ივნისს პეტერბურგში ჩამოვიდნენ დიდი ჰერცოგი ფრიდრიხ-ფრანც IV მეკლენბურგ-შვერინისა, მისი უავგუსტოესი მშობელი მეკლენბურგ-შვერინის დიდი ჰერცოგინა დაქვრივებული დიდი მთავრინა ანასტასია მიხეილის ასული და მისი და პრინცესა ცეცილია.—11 ივნისსავე ჩამოვიდა პეტერბურგში დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული უავგუსტოესის შვილებითურთ.

**მოსკოვი.** დღეს სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით განიხილა საქმე ფოსტის გაძარცვისა და ფოსტალიონის მოკვლისათვის ღირსება ჩამორთმეულისა და 15 წლით კატორგა-გადაწყვეტილის გლეხის მოროზოვისა, რომელსაც ეხლა გასაქცევად საპატიმროს მეთვალყურის მოკვლა და უფროს მეთვალყურის მოკვლის განზრახვა ბრალდება. მოროზოვს 30 წლით კატორგაში გაგზავნა გადაუწყვიტეს.

**ვაშინგტონი.** გეიმ წერილით მიმართა რუსეთის ელჩს შაქრისა და ნავთის გამო აღძრულ სატარიფო კამათობის შესახებ და აღნიშნა შეერთებულ შტატების შეხედულება რუსეთის მოქმედებისადმი. ამ წერილს მიზნად აქვს შეძლების დაგვარად დააშოშმინოს უკმაყოფილება და დაამტკიცოს, რომ შეერთებულ შტატების მოქმედება რამოდენადმე დინგლეის საბაჟო სისტემის განუსჯელად შესრულებით აიხსნება. წერილში უფრო ბევრია ნათქვამი შაქრის შესახებ და მოყვანილია საბუთები იმ განზრახვით, რომ რუსეთს ისევ შეაცვლევინოს ამერიკულ საქონელზედ ბაჟის გადიდება.

**ალექსანდრია.** შავი ჭირით ავათმყოფები აღმოჩნდნენ ალექსანდრიასა, პოსტ-საიდსა, ზაგზიგსა და მენიაკში.

**სოფია.** მაკედონიის კომიტეტის იმ 6 წევრის საქმე, რომელნიც დაპატიმრებულ იქმნენ სარაფოვის პროცესის დროს და რომელთა შორის ერთი კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი დავიდოვია, შეწყვეტილ იქმნა და თვითონ ისინიც განათავისუფლეს; საპყრობილეში დარჩა კიდევ 4 წევრი და მათ შორის თვითონ სარაფოვიც.

**კასელი.** აქ გარდაიცვალა პეტერბურგში გერმანიის ელჩად ნამყოფი იმპერატორის ვილჰელმ I-ის გენერალ-ადიუტანტი შვეინიტცი.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა დაავალა მინისტრთა საბჭოს გამოიკვლიონ ოსმალეთ-სერბიის საზღვარზედ საქმეთა მდგომარეობა და მიიღონ ზომები ახალ შეტაკების ასაცილებლად.

**კონსტანტინეპოლი.** ამ დღეებში ღამით ილდიზ-კიოსკში სულთანის საწოლის მახლობლად მდებარე ოთახში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც ძალიან მალე ჩააქრეს. ცეცხლის წაკიდების მიზეზისა გამო თუმცა ბევრნაირი ხმები ისმის, ჯერ არაფერი აღმოუჩენიათ.

**ტიანძინი.** მოძრაობა, ესრედ წოდებულ „სოფელთა კავშირი“ უფრო და უფრო ვრცელდება. ეს კავშირი ისეთივე წინააღმდეგია უცხოელთა, როგორც „დიდი მუშტი“.

12 ივნისი

**პეტერბურგი.** ებოძათ გენერალ-ლეიტენანტობა სემირეჩენის ოლქის სამხედრო გუბერნატორს იონოვს; შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგსა ჟანდარმთა კორპუსის წინამძღოლს თავ. სვიატოპოლკ-მირსკისა და თურქესტანის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსს სახაროვს.

ხელმწიფე იმპერატრიცამ, ალექსანდრა თეოდორეს ასულმა განიზრახა რა შექმნას სპეციალური ლიტერატურა საზოგადო ქველმოქმედებისა და ხელი გაუმართოს მისის უდიდებულესობის საყვარელ და გულითად საგრების განმმარტებელს რუსთა მწერლებს, უმაღლესად ბრძანა: 1) გადადებულ იქმნას მისის უდიდებულესობის საკუთარის თანხიდგან 50,000 მან. იმ ფონდის დასაარსებლად, რომლიდგან პროცენტები მიეცემა პრემიად თარგმანებისათვის.

2) მიანდოს სამზრუნველოს კომიტეტს გადაათვალიეროს აწ არსებული წეს-რიგი ამ პრემიების შესახებ. აღნიშნული წეს-რიგი გადათვალიერებულ იქმნა კომიტეტის ორს სხდომაში და ახალ წეს-რიგთა შემუშავებული პროექტი დედოფლის მიერ მოწონებული წარუდგინა ხელმწიფე იმპერატორს და უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

11 ივნისის ბიულეტენი: „ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული თავს ძალიან კარგად ჰგრძნობს და კარგად ჰკვებავს დიდ მთავრინას ანასტასია ნიკოლოზის ასულს.

**ხარკოვი.** ტროიცკის მატყლის იარმარკა გათავდა. დარჩა 25 ათასი ფუთი მატყლი გაუყიდველი.

**ოდესა.** გზათა მინისტრი გუშით ოდესაში ჩამოვიდა დუნაიდგან. მინისტრი ხვალ წასვლას აპირებს.

დანარჩენ სახელმწიფოებსავით ავსტრო უნგრეთის მთავრობამაც განკარგულება მოახდინა აღმოსავლეთ აზიაში საზღვაოსნო ძალთა შემცირების შესახებ.

პეკინის რაზმი მხოლოდ 100 კაცია.

**პარიში.** სენატი შეუდგა დიურსალიუსის საქმის განხილვას. ბრალდებულის ვექილმა ბუაიემ წინადადება მისცა ვველა სენატორს, რომ უმაღლესს სასამართლოს წევრობა იცისრონ. სახელმწიფო ბრალმდებელმა ბერნარმა მიუგო, რომ მხოლოდ პირველ პროცესისზედ სასამართლოს წევრებად ნამყოფს სენატორათ შეუძლიათ იყვნენ ეხლა დიურსოლიუსის მოსამართლეთა რიცხვშიო. ბუაიეს საპასუხო სიტყვის შემდეგ სხდომა შეწყვეტილ იქმნა, სასამართლომ გაარჩია ვექილის წინადადება, და როგორც ფალიერმა სხდომის დაწყებისას განაცხადა, უარჰყო იგი. დაუძახეს მოწმეებს, რომელთაგანი ბევრი არ გამოცხადდა და მათ შორის პალეოლოგი. შემდეგ თავმჯდომარემ ჩვენება ჩამოართვა ბრალდებულს. დიურ-სალიუსი კითხულობს ვრცელს განმარტებას და სწუხს რომ აქამდის რესპუბლიკის დამხობა ვერ შესძლო. იგი ჰკიცხავს დრეიფუსის პროცესს და ჯარის წინააღმდეგ იმართულ საშუალებათა და განმარტავს, თუ რა როლს თამაშობდა იგი, თავისთავზედ ტვირთულობს ყოველგვარს პასუხის მგებლობას და ამბობს რომ სრული უფლება მქონდა ამ რიგად მოქცევისაო. ფალიერმა რამდენიმე კითხვა მისცა, მაგრამ დიურ-სალიუსმა უპასუხოდ დასტოვა. სხდომა გათავდა. ლიუქსემბურგის სასახლის ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევს,

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

პოლ მერისს, პოეტსა და ვიქტორ ჰიუგოს მეგობარს, შეუწირავს ქალაქ პარიჟისათვის სახლი, რომელსაც სახელად „ვიქტორ ჰიუგოს“ სახლი უნდა დაერქვას. ამ სახლში შეკრებილი იქმნება ის ნივთები, რომლებიც შესანიშნავ პოეტს ეკუთვნოდა: 500 სურათი, პოეტის-მიერვე ნახატი, ის სურათები, რომლებიც შესანიშნავ მხატვართ დაუხატიათ და პოეტისათვის მიურთმევიათ, ჰიუგოს ბიუსტები, იმის თხუზულებათა სხვა-და-სხვა გამოცემანი, აგრეთვე სხვა ენებზედ თარგმანები, კრიტიკული და ბიოგრაფიული ცნობანი პოეტისა და იმის თხუზულებათა შესახებ. მუზეის გახსნიან 1902 წლის 62 თებერვალს, პოეტის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღესასწაულის დროს.

## განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის 15 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, მოხდება

### საჯარო ვაჭრობა

რომელზედაც იჯარით გაიცემა ბეტონის მილის გამართვის საქმე ამაღლების ქუჩაზედ ქამოევის ქუჩიდგან იმავე ქუჩაზედ გამართულ მილამდე. სამუშაო სულ 1424 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიათ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 3 საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ 14 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის საყასპოების შეკეთების საქმე. სამუშაო სულ 3540 მანეთისაა.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გასინჯონ გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, 9-დგან 2 საათამდე. (3—6.—1)

# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივნისისათვის 1901 წლისა.

**აქტივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასსა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 16484 | 07 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | | 120 | 88 |
| III. „ „ „ ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | | 15100 | — |
| IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | | 1000 | — |
| V. სარგებლიანი ქაღ., საზოგადოების საკუთვნონი. | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 2060—76 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: | 7927— | 9987 | 76 |
| VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 3904 | 34 |
| VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორ კაცს ზედ ნაკლებს არ უწერია ხელი | | 262106 | 27 |
| VIII. სესხი სოლო-ვექსილებისა | | 300 | — |
| IX. პროტესტ-ნაქმნარი თამასუქები | | 1000 | — |
| X. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | 105 | 22 |
| XI. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. | 9301— | | |
| ბ) არა-უზრუნველ ყოფილ. ქაღალ. | 16746— | | |
| გ) საქონელზედ | 18207— | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 12476— | 56730 | — |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი | | 94 | 51 |
| XIII. მოწყობა-მომართვა | | 2399 | 50 |
| XIV. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 47942—37 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 7807—57 | 55749 | 94 |
| XV. გერბის გადასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 145 | 48 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 236 | 28 |
| XVII. გარდასაცემი თანხა | | 791 | 14 |
| XVIII. მიმდინარე ხარჯი | | 6507 | 29 |
| ს უ ლ | | 432762 | 68 |

**პასსივი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 831 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრი ფულიდგან | | 87106 | — |
| II. სათადარიგო თანხა | | 6309 | 53 |
| III. სარგებელი სათადარიგო თანხის სარგებლიან ქაღალდებისა | | 28 | 50 |
| IV. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 118559—29 | | |
| ბ) ვადით | 137141— | | |
| გ) უვადოდ | 120— | 255820 | 29 |
| V. გარდასაცემი თანხა | | 3517 | 11 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | | 493 | 56 |
| VII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 43 | 14 |
| VIII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ-მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და 13 §§-ის თანახმად | | 300 | — |
| IX. გარდასაგზავნად შემოტანილი ფული | | 5000 | — |
| X. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 24000— | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 16201—79 | 40201 | 79 |
| XI. განსაკუთრებული მიმდინარე ანგარიში კერძო საკრედიტო დაწესებულებაში: ა) თამასუქების უზრუნ.-ყოფით. | | 3 | 06 |
| XII. განაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | | 17000 | — |
| XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა | | 2032 | 86 |
| XIV. წაუღებელი დივიდენდი 1900 წლისა | | 3332 | 08 |
| XV. მიღებული სარგებელი | | 11534 | 76 |
| XVI. მოგება და ზარალი 1901 წლისა | | 40 | — |
| ს უ ლ | | 432762 | 68 |
| პასუხის მგებლობა 828 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდ. | | 783954 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 11900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ | | 2473 | 39 |

(1—6ª—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12-го Іюня 1901 г. სტამბა ქქ. ივ. ხელაძისა, დვორიან-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე